MES 7 21 0001337023

09/12/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 29 ნოემბერს.**

სხდომის დაწყებამდე საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაწესებულებებს გაეგზავნა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/82097025745?pwd=VkdaYnVUa2V5VzZCalVlOXRKaEs3dz09
Meeting ID: 820 9702 5745

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე /საბჭოს წევრი;
მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

შპს „პროფიუნიტი“:
გიორგი ნიკოლაძე - დირექტორის მოადგილე
ლელა ბიწაძე - სასწავლო პროცესის და პროგრამების მართვის კოორდინატორი
ნინო დარბაიძე - იურისტი
იანდი შეყილაძე - ხარისხის მართვის კოორდინატორი
მაკა ბრეგვაძე - ბუღალტერი, IT რისკების მართვის და მხარდაჭერის უზრუნველყოფის სპეციალისტი
დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული პირების წარმომადგენლობისა და სხდომაზე მონაწილეობის დასადასტურებლად მინდობილობა

სსიპ კოლეჯი „იბერია“
ირაკლი ავალიანი - დირექტორი
დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ბერიკა უშვერიძე - მატერიალური რესურსების კოორდინატორი

შპსსაზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა
ვასილ კიკნაძე - დირექტორი
მაია ჩიხლაძე - დირექტორის მოადგილე

ა(ა)იპსამშენებლოკოლეჯი „კონსტრუქტ2“
თამარ ზაქარაშვილი - დირექტორი
თამთა კვინიკაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
კონსტანტინე ქავთარაძე - ფინანსური მენეჯერი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:
ქეთევან ჯანელიძე
ვერიკო ჭიღლაძე
ქეთევან ღვანიძე
მაია ხურცილავა
ნანა შარაბიძე
ნანა ნატროშვილი
ნინო ვასაძე
მანანა კობალაძე
ნატალია დარჩინიანი
ირაკლი სალუქვაძე
ნინო მოწყობილი
თამარ გიორგობიანი
გიორგი ბერია
მარინე გვრიტიშვილი
იაზონ დანელია

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:08 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხო-ვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ვინაიდან საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი, რომელიც საბჭოს შემოურთდა მოგვიანებით, 14:45 საათზე, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, ოქმის წარმოება დაევალა საბჭოს წევრს ქრისტინა რზგოევას საბჭოს მდივნის ჩართვამდე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს „პროფიუნიტიში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ „სამკერვალო წარმოების“ და „თმის მომსახურების“ (ქ. ბაღდათი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ „სასტუმრო მომსახურების“, „სამკერვალო წარმოების“ და „თმის მომსახურების“ (ქ. ქუთაისი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

ნანი დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის შესახებ, მან განუმარტა საბჭოს და დამსწრე საზოგადოებას, რომ ვინაიდან მუნიციპალიტეტში იყო შუქის პრობლემა, დაწესებულების წარმომადგენლები ვერ ახერხებდნენ საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მიღებას და ითხოვეს, რომ მათ გარეშე საკითხი არ განხილულიყო საბჭოზე. მან დასძინა, რომ გაურკვეველი იყო მოახერხებდნენ თუ არა დაწესებულების წარმომადგენლები ონლაინ სხდომაში ჩართვას და ითხოვა ამ საკითხის შემდეგი საბჭოსთვის გადადება.

ნანა ყუფუნიამ აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა მათი მხრიდან შუამდგომლობის წარმოდგენა და დასძინა, რომ თუ იქნებოდა შუამდგომლობა დაწესებულების მხრიდან საბჭოს დასრულებამდე წერილის სახით, საკითხს შემდეგ საბჭოზე გადაიტანდნენ.
ამის შემდეგ ნანა ყუფუნია აპირებდა შემდეგი საკითხის წარდგენას, თუმცა ნანა შარაბიძე, რომელსაც უნდა წარედგინა მეორე საკითხთან დაკავშირებით პრეზენტაცია, არ იყო საბჭოზე, აქედან გამომდინარე, საკითხების განხილვა დაიწყო მესამე საკითხიდან, შემდეგი თანმიმდევრობით:

კორექტირებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ „სამკერვალო წარმოების“ და „თმის მომსახურების“ (ქ. ბაღდათი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ „სასტუმრო მომსახურების“, „სამკერვალო წარმოების“ და „თმის მომსახურების“ (ქ. ქუთაისი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს „პროფიუნიტიში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რომლებსაც უნდა წარედგინათ საბჭოზე ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი, რომ შეეძლოთ, სურვილის შემთხვევაში, დროებით დაეტოვებინათ საბჭოს სხდომა.

1. სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ „სამკერვალო წარმოების“ და „თმის მომსახურების“ (ქ. ბაღდათი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ნინო ვასაძეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 5 ოქტომბრის №1032545 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯ "იბერიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - "თმის მომსახურების" და "სამკერვალო წარმოების" (განხორციელების ადგილი: ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. №112) ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით

განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ამ მიზნით, განხორციელდა დისტანციური ვიზიტი კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით 2021 წლის 19 ოქტომბერს. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები, აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების აქტები. შემდგომ ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა "თმის მომსახურების" და "სამკერვალო წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტი, პროგრამის ხელმძღვანელების სამუშაო აღწერილობები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერთან, ასევე ბაღდათის ლოკაციაზე სასწავლო პროცესის კოორდინატორთან, შესყიდვების კოორდინატორთან, ბიბლიოთეკართან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და მოდულის განმახორ-ციე-ლებლებთან. ვერ მოხერხდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან, რადგან კოლეჯმა ამ პროგრამებზე მიღება პირველად განახორციელა და სასწავლო პროცესი ვიზიტის პერიოდში არ მიმდინარეობდა. დისტანციურად დათვალიერებულ იქნა მატერიალური რესურსი - C გარემო და ტექნიკური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა მეტწილ შესაბამისად, რადგან 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად. ექსპერტების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები "სამკერვალო წარმოება" და "თმის მომსახურება“ არის სტანდარტებთან მიმართებაში სრულ შესაბამისობაში, ვინაიდან 2.2 კომპონენტი შეფასდა სრულ შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა და დასძინა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, სტანდარტთან შესაბამისობის და განვითარების რეკომენდაციები არ გაცემულა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს კომპაქტურად და ობიექტურად წარმოდგენილი პრეზენტაციისათვის. აღნიშნა, რომ ეს პრეზენტაცია იყო ჯგუფის თავმჯდომარისთვის დებიუტი და წარმატებები უსურვა.

შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს მანანა კობალაძეს, მან აღნიშნა, რომ არ ჰქონდა შენიშვნა და დასძინა რომ, ნამდვილად თანამედროვე ტექნოლოგიებით იქნა საწარმო აღჭურვილი და შესაძლებელი იქნება საწარმოო პრაქტიკის ადგილზე გავლა. დასძინა, რომ დაწესებულებას აქვს მზაობა ამ პროგრამის განხორციელებისთვის და წარმატებები უსურვა.
ნანა ყუფუნია დაინტერესდა, თუ რამდენად მაღალი მაჩვენებელი იქნებოდა დასაქმების, რაზედაც ექსპერტმა აღნიშნა, რომ მაღალია თვითდასაქმება. ვინაიდან დაწესებულება პირველად ახორციელებს ამ პროგრამას და პროგრამა ითვალისწინებს მეწარმეობის მოდულს, სწორედ აქ შექმნილი პრაქტიკული პროექტით ბევრმა პროფესიულმა სტუდენტმა მოიპოვა დაფინანსება, გახსნეს საკუთარი ატელიე. რადგანაც საწარმო -ფაბრიკები არ არის ბაღდათში, თვითდასაქმების გზით შეუძლიათ წასვლა.
ნანა ყუფუნია დაინტერესდა, თუ რამდენი ატელიე იყო ბაღდათში, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ დისტანციურად ამის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა, თუმცა ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ 15 პროფესიულ სტუდენტს ვერ მიიღებდა ერთი ატელიე.
შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ მაშინ რამდენიმე უნდა შეერჩიათ და გადაენაწილებინათ, დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთ პროფესიულ სტუდენტს უნდა ჰქონდეს ერთი უნივერსალური საკერავი მანქანა. ასეთი ატელიე არის, რომელიც თუნდაც 5 პროფესიულ

სტუდენტს მოემსახურება და დასძინა, რომ არ მიაჩნდა ეს პრობლემად და დააზუსტა, რომ ვინაიდან ქუთაისამდე მანძილი მოკლეა და მემორანდუმებს გააფორმებენ, ტრანსპორტს უზრუნველყოფს საწარმო, რომ პრაქტიკები გაიარონ ქუთაისში არსებულ საწარმოებში.
ნინო ვასაძემ საბჭოს მიაწოდა დამაზუსტებელი ინფორმაცია, მან აღნიშნა, რომ როდესაც პროგრამის დამატების უფლება მიეცა დაწესებულებას, ამ დროს ასევე მიეცა რეკომენდაცია, რომ C გარემო აღჭურვილიყო სრულად, რათა ადგილზე ყოფილიყო შესაძლებელი აღნიშნული კომპეტენციების გამომუშავება პროფესიული სტუდენტებისთვის. შესაბამისად, ექსპერტებს პრაქტიკის ობიექტები არ შეუმოწმებია, რადგანაც წინა ვიზიტის დროს ექსპერტების მხრიდან იქნა მიღწეული შეთანხმება, რომ არ იყო აუცილებელი პრაქტიკის ობიექტები, რახან არ იყო შესაბამისი გარემო ამ პრატიკის ობიექტებზე.
ნანა ყუფუნიამ განმარტა, რომ მისი კითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ სად დასაქმდებოდნენ კურსდამთავრებულები, მანანა კობალაძემ უპასუხა, რომ კურსდამთავრებულები შეძლებდნენთვითდასაქმებას.
იგივე კითხვით მიმართა ნანა ყუფუნიამ დარგის ექსპერტს ნატალია დარჩინიანს დასაქმებასთან და ამ სფეროს პირების მოთხოვნასთან დაკავშირებით, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ თმის მომსახურება ისეთი სფერო იყო, რომ დაუსაქმებელი არ დარჩებოდნენ კურსდამთავრებულები, და მოთხოვნაც დიდი იყო.
ნანა ყუფუნიამ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ხომ არ სურდა რამის დამატება, რაზეც ნინო ვასაძემ უპასუხა, რომ - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას ოთხ დაწესებულებასთან ჰქონდა მემორანდუმი გაფორმებული და შესაძლებელი იყო დასაქმება ამ დაწესებულებებშიც, გარდა ამისა, ამ კონკრეტული სილამაზის სალონების გარდა არის სილამაზის სალონები ბაღდათში, თვითდასაქმებას შეუძლიათ მიმართონ, ან მიმდებარე ქალაქ ქუთაისში დასაქმდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა დარეჯან ლოსაბერიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას, ასევე ექსპერტებს ამომწურავი შეფასებისა და იმისათვის, რომ დაწესებულებას მიეცა შესაძლებლობა, რომ რაც იყო გასაუმჯობესებელი, გაეუმჯობესებინა, როგორც პროგრამული, ისე მატერიალური რესურსის ნაწილის კუთხით. იგი ასევე შეეხო დასაქმების შესაძლებლობებს, აღნიშნა, რომ ექსპერტთა რჩევა იმასთან დაკავშირებით, რომ „სამკერვალო მომსახურებით“ ბაღდათს არ გააჩნია პროგრამის შესაფერისი ობიექტები, გათვალისწინებულ იქნა. მათი რეკომენდაციით გაცნობითი პრაქტიკის მოდულის შესაბამისად, დაიგეგმა და ხორციელდება სასწავლო ექსკურსიები ქუთაისში, სადაც მდებარეობს განვითარებული და მაღალტექნოლოგიური საწარმოები - სამკერვალო ფაბრიკა „იმერი“, „ტექსტილი“, „ემ-ჯი-ემ ტექსტილი“, ნაწილი ქართული კომპანიებია, ნაწილი უცხოური. მათ აქვთ დიდი მოთხოვნა მუშახელზე და ეს მოთხოვნა არის მუდმივი. ქუთაისი უზრუნველყოფს შესაძლებლობებით და ბაღდათშიც ასევე შესაძლებელია თვითდასაქმება და ინდივიდუალური მეწარმეობაც. ხოლო რაც შეეხება “თმის მომსახურებას“, ობიექტები აკმაყოფილებდა ბაღდათში შესაძლებლობებს, რაც პროგრამებს სჭირდებოდა საწარმოო პრაქტიკისათვის, თუმცა აქაც ასევე არის თვითდასაქმების შესაძლებლობები, იქიდან გამომდინარე, რომ ბაღდათი არ არის შორს ქუთაისიდან და საკურორტო ზონაა საირმე, სადაც დიდი მოთხოვნაა სეზონურადაც და არასეზონურადაც ორივე დარგის სპეციალისტებზე.

ნანა ყუფუნია დაინტერესდა, ხომ არ გამოიკვეთა დაწესებულების მიდგომები აგრარული მიმართულებით პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით, რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით და დასძინა, ძალიან მნიშვნელოვანია, რეგიონს ამ მიმართულებით პროგრამები ჰქონდეს.

დარეჯან ლოსაბერიძე დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს, მან დასძინა, რომ ბაღდათი ამ მიმართულებით დაფუძნდა თავდაპირველად, მაგრამ დროთა განმავლობაში რეაბილიტირებული არ არის მთელი ინფრასტრუქტურა. დაწესებულება ახორციელებდა მეფუტკრეობისა და მემცენარეობის საგნობრივ საგანმანათლებლო პროგრამებს, მაგრამ ამ ეტაპზე იქაური ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს სტანდარტებთან სრულ შესაბამისობას. ამიტომ იგეგმება დარგების დამატება მას შემდეგ, რაც მოხდება მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა. მოკლევადიან პროგრამაზე დაწესებულებამ უკვე მოიპოვა განხორციელების უფლება, ეს არის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის“ პროფესიული მომზადების პროგრამა და შემუშავებულია მეღვინეობის მიმართულებით მოკლევადიანი პროგრამა. რის საშუალებასაც იძლევა ბაღდათის ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი საწარმოები, სადაც შესაძლებელი იქნება კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის ერთობრივად განხორციელება, ასეთ პროექტებს გეგმავს დაწესებულება და განახორციელებს. რაც შეეხება თავად საგანმანათლებლო დაწესებულებაში მატერიალური რესურსის უზრუნველყოფასა და ბაზების მოწყობას, ამაზეც მუშაობს კოლეჯი. მოკლე ხანში, ალბათ, ესეც უზრუნველყოფილი იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ „სამკერვალო წარმოების“ (ქ. ბაღდათი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ „იბერიის“ (ს/კ: 212682051) „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ქ. ბაღდათში.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 29 ნოემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ „თმის მომსახურების“ (ქ. ბაღდათი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ

„იბერიის“ (ს/კ: 212682051) „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ქ. ბაღდათში.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 29 ნოემბერი.

2. სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ „სასტუმრო მომსახურების“, „სამკერვალო წარმოების“ და „თმის მომსახურების“ (ქ. ქუთაისი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ირაკლი სალუქვაძეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 5 ოქტომბრის №1032543 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯ "იბერიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სასტუმრო მომსახურება", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (განხორციელების ადგილი: ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №61 და ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №15), "თმის მომსახურება" (განხორციელების ადგილი: ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №61) და "სამკერვალო წარმოება" (განხორციელების ადგილი: ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №61) ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ექსპერტების ჯგუფმა შეიმუშავა შეხვედრის განრიგი, რომლის თანახმად, ექსპერტების ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელებს შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, შედგა 2021 წლის 19 ოქტომბერს. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს: დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს, მატერიალური რესურსების კოორდინატორს, შესყიდვების სპეციალისტს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და ბიბლიოთეკარს. ონლაინ შეხვედრისას, შესყიდვების მენეჯერმა ექსპერტებს ვიზუალურად გააცნო პროგრამებისთვის განკუთვნილი ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით. გასაუბრებისას გამოიკვეთა ზოგიერთი მტკიცებულების წარმოდგენის აუცილებლობა, შესაბამისად გასაუბრების ეტაპზე, დაწესებულებამ, მიაწოდა ექსპერტებს დოკუმენტები. წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა მეტწილ შესაბამისად, 2.2 კომპონენტის ფარგლებში პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის სრულად არქონის გამო. მიმდინარე წარმოებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სასტუმრო მომსახურება“, „სამკერვალო

წარმოება“ და „თმის მომსახურება“ 2.2 კომპონენტის შესრულების შემოწმების შედეგად სტანდარტი შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა და დასძინა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, სტანდარტთან შესაბამისობის და განვითარების რეკომენდაციები არ გაცემულა.

ირაკლი სალუქვაძემ სთხოვა დარგის ექსპერტებს საბჭოსთვის გაეცნოთ თავიანთი მოსაზრება.

დარგის ექსპერტმა ნინო მოწყობილმა აღნიშნა, რომ წინა ვიზიტზეც იყო „სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დარგის ექსპერტი და კარგად იცნობდა დაწესებულების მატერიალურ რესურსს, მან დასძინა, რომ დაწყებული იყო შეძენის პროცესი, შემუშავებული ჰქონდათ გაუმჯობესების გეგმა, რომელიც ვადებში იყო გაწერილი. დაწესებულების დათვალიერებისას წარმოდგენილი იყო, სივრცე, რომელიც უკვე იყო მოწყობილი, ასევე შეძენილი იყო ის ინვენტარი, რაც საჭირო იყო მომსახურებისთვის და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის. აქედან გამომდინარე ექსპერტებმა სტანდარტი შეაფასეს როგორც „სრულად შესაბამისი“.
დარგის ექსპერტმა მანანა კობალაძემ განმარტა, რომ დაწესებულება წლების განმავლობაში ახორციელებდა სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მოკლევადიან პროგრამას სხვადასხვა პროექტების ფარგლებში. ამჟამად დაწესებულებას მილევად რეჟიმში 15 პროფესიული სტუდენტი ყავს. მან დასძინა, რომ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას სრულად გააჩნდა მატერიალური რესურსი, ეს პროგრამა მოითხოვდა მხოლოდ რამოდენიმე ტიპის სპეცმანქანას, რომელიც კოლეჯმა უკვე შეიძინა და არის ბაზაზე, აქედან გამომდინარე ექსპერტთა მიერ სტანდარტი შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ირაკლი სალუქვაძემ ისაუბრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „თმის მომსახურება“, მან აღნიშნა, რომ ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ტექნიკური აღჭურვილობა ამ პროგრამისთვის არის სრულყოფილად, შესაბამისად შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისი“.
შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, ვინაიდან დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „სამკერვალო წარმოება“ და „თმის მომსახურება“, ორ ლოკაციაზე ჰქონდა ქ. ქუთაისში და ქ. ბაღდათში, მოდულის განმახორციელებლი პირები ორივე ლოკაციაზე ერთი და იგივე იყო თუ არა, რაზეც ირაკლი სალუქვაძემ უპასუხა, რომ სხვადასხვა პირები იყვნენ, და აქვე დასძინა, რომ ორივე ლოკაციაზე ერთიდაიგივე ექსპერტები იყვნენ და შესაბამისად ჰქონდათ წვდომა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებთან.
შორენა ჯაფარიძე ასევე დაინტერესდა, ბაღდათში მოდულების განმახორციელებლებს, თუ ჰქონდათ მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება, რაზეც ექსპერტებმა უპასუხეს, რომ სწავლების გამოცდილება არ ჰქონდათ ბაღდათის ლოკაციაზე, თუმცა მათ შიდა ტრენინგები უტარდებოდათ.
ნანა ყუფუნიამ მიმართა საბჭოს, რომ ამ პროგრამების დამატების დროს, ქუთაისიდან მოჰყავდათ მოდულების განმახორციელებლები, და დაინტერესდა ამ ეტაპზე თუ იყვნენ ადგილობრივები, რაზეც მანანა კობალაძემ უპასუხა, რომ მხოლოდ ერთი განმახორციელებელი პირი იყო ქუთაისიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ „სასტუმრო მომსახურების“ (ქ. ქუთაისი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ „იბერიის“ (ს/კ: 212682051) „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ქ. ქუთაისში.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 29 ნოემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ „სამკერვალო წარმოების“ (ქ. ქუთაისი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ „იბერიის“ (ს/კ: 212682051) „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ქ. ქუთაისში.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 29 ნოემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ „თმის მომსახურების“ (ქ. ქუთაისი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა

და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ „იბერიის“ (ს/კ: 212682051) „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ქ. ქუთაისში.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 29 ნოემბერი.

3. შპს „პროფიუნიტში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 27 სექტემბრის №987559 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა შპს „პროფიუნიტის" პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ბ) და ე.გ) კომპონენტებისა და გათბობის სისტემის მონტაჟის შესრულების შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და ასევე, IT რისკების მართვაზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე, საქმისწარმოებაზე, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე და დაწესებულების ფინანსური მდგრადობის შეფასების შედეგებზე პასუხისმგებელ პირებს. ელექტრონული პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა გათბობის სისტემის მონტაჟი და გადაამოწმა გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებული სხვა სამუშაოების შესრულება. გათბობის სისტემა დამონტაჟებულია შენობის ორ სართულზე როგორც დერეფნებში, ასევე სასწავლო აუდიტორიებში და სასწავლო პროცესის დამხმარე ფართებში (ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციის თანამშრომლების სამუშაო ოთახები). ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა ვიდეო კამერები. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების შენობის გარე და შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია ორი სათვალთვალო ვიდეო-კამერა, რომელთა კონტროლიც ხორციელდება დაცვის თანამშრომლის მიერ. დისტანციური ვიზიტის დროს ორივე კამერა იყო ჩართული.
ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა სტანდარტების შეფასებების შედეგები და ძირითადი მიგნებები გაუზიარა დაწესებულების წარმომადგენლებს. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მე-5 სტანდარტის 5.2. და 5.3. კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, მონიტორინგის დროს შეფასდა, როგორც „სრული შესაბამისობა“ და მთლიანობაში მეხუთე სტანდარტთან შესაბამისობა გახდა „სრულად შესაბამისი“.

ასევე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტზე არ იყო მივლინებული დარგის ექსპერტი, ვინაიდან შემოწმების ფარგლები ეხებოდა ინსტიტუციურ სტანდარტს. ორივე გახლდათ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და დასძინა, რომ სასურველი იქნებოდა ადგილზე ყოფილიყო შესაძლებელი ყველაფრის დათვალიერება, თუმცა პანდემიიდან გამომდინარე, ეს ვერ მოხერხდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „პროფიუნიტში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს პროფიუნიტში (ს/კ: 204436985) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 29 ნოემბერი.

საბჭოს სხდომას 14:56 საათზე შემოუერთდა საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი. საბჭოს თავმჯდომარემ პირველ სამ საკითხზე ოქმის ხელმომწერად განსაზღვრა ქრისტინა რზგოევა, ხოლო დანარჩენ საკითხებზე საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი.

4. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 22 სექტემბრის №960359 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება.

ამ მიზნით, ექსპერტების ჯგუფის მიერ 2021 წლის 29 სექტემბერს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით. კოლეჯში ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და კოლეგიალურ ატმოსფეროში. ვიზიტის დღეს ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულების განმახორციელებელ პირებს, ბიბლიოთეკარსა და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსი, ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა კოლეჯის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის განმავლობაში გამოკვეთილი გარემოებები და მიგნებები.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, 2.2 კომპონენტი და შესაბამისად, სტანდარტიც შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რადგან დაწესებულებაში „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი ფართის გარკვეულ ნაწილში, რომელიც ახალ კორპუსში იყო განთავსებული სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა, რომელიც 2021 წლის ივნისის თვეში დასრულდა. ახალ შენობაში აღნიშნული პროგრამისათვის განთავსებულია სათანადოდ აღჭურვილი 7 (შვიდი) A გარემო, თითოეული აუდიტორია გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე, გარდა ამისა, პროგრამის განსახორციელებლად პირვანდელ (ე.წ. ძველ) კორპუსში გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი 8 (რვა) A გარემო (თითოეულ აუდიტორიაში ადგილების რაოდენობა განსაზღვრულია არსებულ ჯგუფში აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად) და ერთი B გარემო - კომპიუტერული კლასი/ლაბორატორია, რომელიც გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე. ორივე შენობაში განთავსებულია სველი წერტილები (მათ შორის სსსმ პირებისათვის ადაპტირებული), კიბეებზე დამონტაჟებულია პანდუსები, დერეფნებში მოწყობილია სივრცეები, მოქმედებს ცენტრალური გათბობის სისტემა. ახალ შენობაში განთავსებული აუდიტორიები მოემსახურება 2021 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, 2019 - 2020 წლებში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს კი - პირვანდელ კორპუსში განთავსებული აუდიტორიები. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სპეციფიკის (პრაქტიკული კომპონენტის მოდულების კლინიკებში განხორციელების) გათვალისწინებით, დაწესებულებაში არსებული ფართი და მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს 475 პროფესიული სტუდენტის მიღებას, შესაბამისად, 2021 წლის 29 სექტემბერს განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში 2.2 კომპონენტი და სტანდარტი, შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ გიორგობიანმა ყურადღება გაამახვილა დაწესებულების საუკეთესო გამოცდილებაზე, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას 2020 წლიდან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება გერმანულ კომპანია შპს DG Consult-თან საექთნო პერსონალის გერმანიის კლინიკებში დასაქმებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით. პროექტი ხორციელდება გერმანელი პარტნიორების სრული დაფინანსებით, რომლის ფარგლებშიც გერმანული მხარე უზრუნველყოფს გერმანული ენის შესწავლის ინტენსიურ კურსს - (B2 დონე), გერმანიის კლინიკებში სამთვიან სამუშაო პრაქტიკას, B2 დონის სერტიფიკატის აღების შემდეგ გერმანიის კლინიკებში ექთნის პოზიციაზე დასაქმებას, პროექტის ფარგლებში კოლეჯს ჰყავს დასაქმებულები, მან მიმართა საბჭოს და დამსწრე

საზოგადოებას, რომ გერმანული გამოცდილების დაგროვება და გაზიარება საშური საქმეა აღნიშნულ პროფესიაში.
მან ასევე აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული და შესრულებული დაწესებულების მიერ, აღნიშნული ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, არ გაცემულა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები, გაიცა რამდენიმე განმავითარებელი რეკომენდაცია.
2.2.1.1. „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პროგრამაში შემავალი პრაქტიკული კომპონენტებისა და კლინიკური სწავლების განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა კლინიკასთან. აღნიშნულ ხელშეკრულებები შეიცავს ინფორმაციას კლინიკების მიერ პროფესიული სტუდენტებისგამტარუნარიანობის შესახებ, რაც დაწესებულებისათვის ავტორიზაციის საბჭოს მიერ მინიჭებულ პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასა და დაწესებულების მიერ პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის შემთხვევაში - მოთხოვნილ რაოდენობასთან თავსებადი უნდა იყოს. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასა და შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემას“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში კლინიკის მიერ დაფიქსირებული რაოდენობა პროფესიული სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით (სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის კლინიკური და შემაჯამებელი პრაქტიკის მოდულები), არ იყო თავსებადი კოლეჯის მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან. ხელშეკრულების მხარეებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ხელშეკრულებაში გაიპარა ტექნიკური უზუსტობა. სასურველია, დაწესებულება და კლინიკა მეტი ყურადღებით მოეკიდოს და კონცენტრირება მოახდინოს ისეთი ტიპის მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა პრაქტიკის ობიექტის მიერ პროფესიული სტუდენტების გამტარიანობა, რაც ამგვარ ტექნიკურ უზუსტობებს გამორიცხავდა. გარდა ამისა, სასურველი იქნებოდა, თუ აღნიშნული მოდულების განხორციელებაში პინეოს კლინიკასთან ერთად ევექსის კლინიკებიც ჩაერთვებოდა, რადგან ევექსის ქსელს შეუძლია ამ მიმართულების უზრუნველყოფა.
2.2.1.3. სასურველია დარგში ახალი მიღწევებისა და სტანდარტების გაცნობის მიზნით, კოლეჯმა მეტი ინტენსივობით უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული ტრენინგების ჩატარება შესაბამისი დარგების მიხედვით, რაც ბიძგს მისცემს კოლეჯში უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვნად აისახება შემდგომ განვითარებაზე. სასურველია დაწესებულებამ სტრატეგიულად დაისახოს ამოცანა პროგრამის განმახორციელებელი მაღალ-კვა-ლიფიციური პერსონალის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რაც ექთან - ტრენერების მოზიდვას, საექიმო კონტიგენტის (რომელიც კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების უმრავლესობას წარმოადგენს), შესაბამისი დარგობრივი გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი ექთნებით ეტაპობრივ ჩანაცვლებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას გულისხმობს. ასევე შექმნას როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელების განვითარების, ასევე კურსდამთავრებულთა გადამზადებისა და რეკრუტირების სტრატეგია.
2.2.1.4. სასურველია, გადაიხედოს და დაიხვეწოს კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 3 ოქტომბრის №41 ბრძანებით განსაზღვრული „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მინიმალურ სტანდარტად დაწესდეს ბოლო 3 წლის განმავლობაში არსებული საექთნო პრაქტიკული გამოცდილება, უმჯობესია ხელმძღვანელ ან საექთნო მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. ასევე კოლეჯის მიერ ამ თანამდებობაზე მიღების/დაშვების წინპირობად დაწესდეს გასაუბრება და ადეკვატური შეფასების კომპონენტები, შემდეგ კი, შიდა ტრენინგებით უზრუნველყოფილ იქნას შერჩეული კანდიდატის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განვითარებაში ჩართულობისა და კომპეტენციის ზრდა.
პრეზენტაციის წარმოდგენის შემდეგ ნანა ყუფუნიამ მიმართა დარგის ექსპერტს გამოეთქვა თავისი მოსაზრება. დარგის ექსპერტი მიესალმა საბჭოს და დამსწრე საზოგადოებას და შეეხო კონკრეტულად პროგრამას, მან აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო ის ფაქტი, წინა ვიზიტის

დროს გაცემული რეკომენდაციები იქნა სრულად გათვალისწინებული, რაც ამ თანამშრომლობის ერთ-ერთი კარგი მაგალითია. იგი შეეხო პროგრამის ხელმძღვანელის დარგობრივი კომპეტენციის საკითხს და აღნიშნა, რომ ამ კომპეტენციის მინიმალური ზღვრით შეიძლება ვერ მიიღოს დაწესებულებამ ისეთი ეფექტური პროგრამის ხელმძღვანელი, როგორიც კოლეჯის მოთხოვნებს და ზოგადად ამ დარგს სჭირდება. მან დასძინა, რომ გასაუბრებისას კონსტრუქციული საუბარი ჰქონდა პროგრამის ხელმძღვანელთან, ისინი უდაოდ პროფესიონალები არიან. ასევე დარგის ექსპერტმა კოლეჯის საყურადღებოდ დასძინა, რომ „Erasmus +"-ის გაცვლით პროგრამებს ევროპაში დაემატა პროფესიულები, რაც საშუალებას მისცემს კოლეჯებს პირველებმა გაუშვან ექთნები ევროპაში. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, უბრალოდ ხარისხის თემაა და უნდა მოხდეს განვითარება. მან ასევე აღნიშნა, რომ სასურველია საექთნო მიმართულებით ექთნებს ასწავლიდეს ექთანი. აქამდე იყო მიღებული, რომ ექიმს ექთანზე მეტი კომპეტენცია ჰქონდა და ის მაღალი ხარისხის პერსონალი იყო, თუმცა, სინამდვილეში ეს ასე არ არის, სწორედ ერთ-ერთმა გასაუბრებამ ეს დაადასტურა, ეს იყო გასაუბრება მოდულის განმახორციელთან, რომელიც იყო ექიმი.

ნანა ყუფუნიამ მიმართა ექსპერტს,თუ რა რეკომენდაციები უნდა ყოფილიყო გაცემული ამ კუთხით და რა საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა შეიმუშაოს დაწესებულებამ, რომ სწორ პერსონალზე გავიდნენ. მან დასძინა, რომ ასე ყველა ექთანიც ვერ ასწავლის საექთნო საქმეს, ვინაიდან შეიძლება იყოს კარგი ექთანი, თუმცა პედაგოგიური უნარები არ ჰქონდეს. ასევე დაინტერესდა, გასაუბრების მიხედვით თუ გავიდოდა იმ სწავლის შედეგებზე არსებული კვალიფიკაციითა და ცოდნით, რაზეც გიორგი ბერიამ განმარტა, რომ ამ პიროვნებას სწავლის შედეგებზე ვერ გასვლის პრობლემა არ ჰქონდა. ის ძირითად სტანდარტებს თავის დარგში აკმაყოფილებდა. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შმდეგი, სასურველი და მნიშვნელოვანია, კოლეჯმა დანერგოს თავისი აკადემიური პერსონალის შიდა ტრენინგები, გადამზადება, წაახალისოს ეს პროცესი და ამით ის შეძლებს უწყვეტი სამედიცინო განათლების მინიმალური ჩანასახური სისტემა შექნას. ამაში შედის ასევე პრეტრენინგი.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტს განემარტა, თუ ეს პირი აკმაყოფილებდა თავისი კვალიფიკაციით სტანდარტებს, შეეძლო იმ სწავლის შედეგების გამომუშავება, იქნებ რაიმე ისეთს ითხოვდა ექსპერტი, რაც პროგრამაში არ წერია, რეალურ პირობებში. მან დასძინა, რომ ამაზე აქცენტის გაკეთება არ იქნებოდა სწორი. მით უმეტეს, რომ, ეს კოლეჯი იყო ინიციატორი იმისა, რომ ამ პროგრამაში როდესაც მასწავლებლების კვალიფიკაციაზე იყო საუბარი, ერთმნიშვნელოვნად ამბობდნენ, რომ აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ ექთნებიო.

ამასთან დაკავშირებით გიორგი ბერიამ აღნიშნა, რომ ეს იყო როგორც ექსპერტის, მისი მკვეთრი მოსაზრება, მაგალითად, ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვაზე, რეანიმაციული პაციენტის საექთნო მართვაზე ან ნებისმიერ სხვა საექთნო მანიპულაციაზე რომ მიდგება საქმე, პრაქტიკულ და არა თეორიულ ნაწილში, ექიმთან რომ მიხვიდეთ თქვენ, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიას, პოლიტიკას, მკურნალობის სქემას ჩამოწერს. ნანა ყუფუნია ჩაეკითხა ექსპერტს, მისაღწევი სწავლის შედეგებს ვერ უზრუნველყოფდა ეს კონკრეტული პირი იმის გამო, რომ ექიმი იყო. განახლება მუდმივად შეიძლება, მაგრამ იმას, რაც პროგრამით იყო გათვალისწინებული, უზრუნველყოფდა თუ არა.

გიორგი ბერიამ დააზუსტა, რომაღნიშნული პიროვნება უზრუნველყოფდა პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად ნაწილს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ 100-დან 100-ს. რაოდენობით თვლადში რომ წარმოვიდგინოთ, ვთქვათ, 100%-იანი შკალიდან უზრუნველყოფდა 75%-ს. ძირითად კომპონენტებს, მაგრამ 25% დანაკლისი, რომელიც გამომდინარეობდა 2 მიზეზით: 1. საექთნო პრაქტიკის ნაკლებობა, 2. შიდა ტრენინგების, განვითარების, თუ დარგში არსებული სიახლეების, გადამზადების ნაკლებობა.

ნანი დალაქიშვილმა მიმართა დარგის ექსპერტს შეკითხვით, რომელიც ეხებოდა ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვას, მან დააზუსტა, რომ ეს არის კლინიკური მოდული და კლინიკაში ხორციელდება. იქ, ამ მოდულის განმახორციელებლები ექთნები უნდა იყვნენ, ანუ საუბარი ეხება იმ კლინიკური მოდულების განმახორციელებლებს, თუ თეორიულ კურსს რომ

ახორციელებენ კოლეჯში იმ განმახორციელებლებს, რაზეც გიორგი ბერიამ აღნიშნა, რომ ის საუბრობდა კლინიკური მოდულის თეორიულ ნაწილზე, რომლის განმახორციელებელთანაც ჰქონდა გასაუბრება. მან დასძინა, რომ ის არ საუბრობდა უშუალოდ პრაქტიკულ ნაწილზე, რომელიც ჰოსპიტალში კეთდება. როცა კლინიკური მანიპულაციის სქემას ხსნის მოდულის განმახორციელებელი თეორიულად და შემდეგ როცა ხელით გააკეთებენ, ესენი ერთმანეთთან უნდა იყოს თანხვედრაში. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ ნებისმიერი დევიაცია, სტანდარტიდან გადახრა მარცხნივ ნიშნავს შეუსაბამობას, მაშინ, არ შეესაბამებოდა. თუ ამას რაოდენობრივ კომპონენტად აღვიქვამთ და ვიტყვით, რომ მეტი წილი, უმრავლესობა შედეგზე გადიოდა, მაგრამ სასურველია ის ოცდახუთიც დაკმაყოფილდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომეს ყველაფერი გასაგები იყო, თუმცა ცოტა არარეალური ასეთი პროცენტული განაწილება გასაუბრების საფუძველზე, რაც არ უნდა კვალიფიციური პერსონალი და ექსპერტები იყვნენ. სწავლის შედეგები ძალიან ვიწროდ რომ ჩავიდეთ, ძალიან ბევრ რამეზე არის დამოკიდებული, პრაქტიკაში დაკვირვებას და სხვა ძალიან ბევრ რამეს საჭიროებს. არ არის ვალიდური მოსაზრებით ასეთი განაწილება. ამასთან, ავტორიზაციიდან გამომდინარე, თუკი რაიმე აკლდება, ესე იგი ხარვეზია. და მიმართა შორენა ჯაფარიძეს, როგორც განათლების ექსპერტს, ამასთან დაკავშირებით გაეკეთებინა კომენტარი.

შორენა ჯაფარიძე დაეთანხმა ნანა ყუფუნიას, აღნიშნა რომ ბატონი გიორგი ძალიან კომპეტენტურია, მაგრამ უბრალოდ გასაუბრებით, ერთმნიშვნელოვნად ასეთი დასკვნების გაკეთება ძალიან რთულია. ამას სჭირდება ძალიან დიდი დაკვირვება და შესწავლა. ის, რაც დაწერა დარგის ექსპერტმა და გამოიტანა როგორც განვითარების რეკომენდაცია, უფრო რელევანტურია, ვიდრე ამაში ჩაღრმავება.
საინტერესო იყო კოლეჯის მოსაზრება ამასთან დაკავშირებით. თუ როგორ აქვს ეს სისტემა მოწყობილი. მუდმივი გადამზადება უნდა იყოს. აქვს თუ არა კოლეჯს ამ მიმართულებით რაიმე დოკუმენტაცია, გამოცდილება პერსონალის განვითარების არა მასწავლებლობის მიმართულებით, არამედ პროფესიული თვალსაზრისით. ესეც ძალიან საინტერესოა.
გიორგი ბერიამ აღნიშნა, რომ როცა შინაარსობრივი, პროფესიული საუბარი ჰქონდა კოლეჯის წარმომადგენლებთან, იქიდან მეტი წილი პროფესიული თანხვედრა იყო, თანხმობა ამ პროცესთან, განვითარების საჭიროებებთან, ექიმებისა და ექთნების ნელ-ნელა გადამზადებასთან მიმართებაში და არა ის, რომ ეს ხვალ, ახლა მოხდეს. მან დასძინა, რომ კოლეჯს სტრატეგიულად, გრძელვადიანად აღუწერა პროცესი. თუ ეს ასე ნელ-ნელა ჩანაცვლდებოდა, მისი აზრით, ამ და ამ შედეგზე უფრო მაღლა და მაღლა გავიდოდა. ეს, თავის მხრივ, ბიძგს მისცემდა თვითონ საექთნო პერსონალის განვითარებას. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, როგორ აქვს კოლეჯს ეს? რა თქმა უნდა, ექსპერტები დაინტერესდნენ ამ საკითხით. და ურჩიეს დაწესებულებას, რომ განვითარება სისტემური ხასიათის ყოფილიყო იმ შესაძლო რესურსების მიხედვით, რაც აქვთ. ექსპერტმა განმარტა, რომ უყურებდა უფრო ფართოდ დარგის განვითარებას, ეს ვიზიტი მიაჩნდა არა როგორც ინსპექტირება, არამედ კონსულტირება კოლეჯისთვის, რომ იყოს უკეთესი.
ნანა ყუფუნია დაეთანხმა ექსპერტს და დასძინა, რომეს უნდა იყოს სწავლის შედეგებთან ბმაში. არსებობს ახალი დოკუმენტაციის პროექტები, უცნობია თუ როდის დამტკიცდება, მაგრამ მისაღწევი სწავლის შედეგებიდან გამომდინარე უნდა გაკეთდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. გასაუბრება არ არის ერთადერთი მეთოდი. საბჭოს მანდატის ფარგლებში, საბჭო რეკომენდაციას გასცემს მისი კომპეტენციებიდან გამომდინარე. მოვერიდოთ რაოდენობრივ დაყოფებს. იქ, სადაც რაოდენობრივ მაჩვენებელზეა საუბარი, უნდა იყოს ძალიან მყარი საფუძველი, რომელიც არის გადათვლილი.
შემდეგ ნანა ყუფუნიამ თხოვა კოლეჯის წარმომადგენლებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება.
კოლეჯის დირექტორმა ვასილ კიკნაძემ აღნიშნა, რომ საუბარი ჰქონდა დარგის ექსპერტთან, და დასძინა, რომ დღევანდელ დღეს ძალიან ცუდ სიტუაციაშია ქვეყანა და მსოფლიო, მედიცინა

გამოწვევის წინაშეა. მხოლოდ ექთანი და ექიმი კი არა, საზოგადოების ჩართულობაც საჭიროა, რომ ყველა ერთმანეთს დაეხმაროს და გადარჩეს. მან დასძინა, რომ მისთვის გასაგები იყო, თუ რა იგულისხმა დარგის ექსპერტმა, მარტო ის კი არა, რა ცოდნასაც კოლეჯის პედაგოგი გადასცემს, კიდევ უფრო მეტი რამ არის. დღევანდელ დღეს უფრო მეტ და სწრაფ შედეგებზე უნდა იყოს საუბარი, იმიტომ, რომ მედიცინა არ ითმენს და პროცესებს სწრაფად უნდა ავუწყოთ ფეხი. შემდეგ იგი შეეხო რეკომენდაციებს და განმარტა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები ღირებულია და გათვალისწინებულია, ასევე შეცვლილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელი და უკეთესია, რომ უშუალოდ ეს პროგრამის ხელმძღვანელი იყოს მოქმედი ექთანი და უფრო მეტი შეხება ქონდეს ამ მიმართულებით, რათა უფრო წარმატებული იყოს პედაგოგების, თანამშრომლებისა და სტუდენტების ურთიერთობა.

შემდეგ მაია ჩიხლაძემ მიმართა საბჭოს და აღნიშნა, რომ დარწმუნებული იყო იმაში, რომ, მეტ-ნაკლებად იცნობდნენ კოლეჯ „პანაცეას“, მის ისტორიას. 140 წელია არსებობს კოლეჯი, როგორც საექთნო მიმართულების კოლეჯი და დღემდე აგრძელებს მოღვაწეობას. მან დასძინა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმებას ყოველწლიურად აღრიცხავენ და მათთად ძალიან დიდი, ხშირი, თითქმის ყოველკვირეული ურთიერთობა აქვთ. დასაქმების მაჩვენებელი 98%-ს არ ჩამოცდება არცერთ წელიწადს. ეს, ალბათ, ნიშნავს იმას, რომ კოლეჯი არ ღალატობს თავის პრინციპებს, უყვარს ის, რასაც აკეთებს და იცის, როგორ აკეთოს ეს საქმე.

შემდეგ მაია ჩიხლაძე შეეხო იმ სამ განმავითარებელ რეკომენდაციას, რომელიც ექსპერტების მიერ იქნა გაცემული, მან განმარტა, რომ ვიზიტის შემდეგ შეჯერდნენ გარკვეულ პოზიციაზე და ეს პოზიციები გაითვალისწინეს. მიუხედავად იმისა, რომ განმავითარებელი რეკომენდაციები იყო, მხედველობაში იქნა მიღებული სამივე. თეორიული კომპონენტის განმახორციელებელი პირების 15% უკვე ექთანია. ინტერვიუს დროს ექსპერტების მიერ ისეთი მოდული იქნა აღებული, რომელსაც მრავალწლიანი გამოცდილების ექიმი ასწავლიდა. ჯერჯერობით კოლეჯს ეს განმახორციელებელი არ შეუცვლია და ვერცერთი კოლეჯი ვერ ჩაანაცვლებს უცბად სამედიცინო მიმართულებაში ექიმებს ექთნებით. ამ ექთნებსაც საკმაოდ დიდი გადამზადება უნდათ, იმ 12 კლინიკაში, სადაც ხორციელდება პრაქტიკული კომპონენტი, პროგრამის ნახევარზე მეტი კლინიკებში ხორციელდება. 40-მდე პრაქტიკოსი ექთანი ემსახურება პროფესიულ სტუდენტებს, ასე რომ, თუკი რაიმე მოდულის განვითარების დროს დააკლდათ თეორიული სწავლების დროს, ის ივსება კლინიკებში. შესაძლოა ინტერვიუირების დროს მოდულის განმახორციელებელი პირი დაიბნა ან რაც დარგის ექსპერტმა კითხა, ახალი იყო უფრო. ეს მასწავლებელი სისტემაში არის, მუშაობს და ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ ორი ტრენინგი ჩატარდა დაწესებულებაში მოდულის განმახორციელებლებთან, ექიმებთანაც და ექთნებთანაც, პროფესიული უნარების გაძლიერების მხრივ და ასევე პირველადი გადაუდებელი დახმარების მიმართულებით კოლეჯმა აიყვანა საგანგებო სიტუაციების ერთ-ერთი წამყვანი ტრენერი, რომელიც თითქმის 2 თვეა უკვე დასაქმებულია კოლეჯში. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას პროგრამის ხემძღვანელთან დაკავშირებით, კოლეჯმა ჩაანაცვლა, თუმცა როგორც სფეროს წარმომადგენელი და მოქმედი პრაქტიკოსი ექთანი ვერ იმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელად, მუდმივად კოლეჯში ვერ იქნება, მით უმეტეს, რომ კონტიგენტი საკმაოდ დიდია, 475 ადამიანი ძალიან დიდი განაცხადია და როცა ამის ამბიცია აქვს კოლეჯს, უნდა სიძნელეებსაც რეალურად შეხედოს. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის „ევექსის“ კლინიკების ტრენინგცენტრის ერთ-ერთი ტრენერი. ასევე სამოქმედო გეგმაში მაქსიმალურად არის ჩადებული ადმინისტრაციული რესურსის და განსაკუთრებით მოდულის განმახორციელებლების გადამზადების საკითხი.

ამის შემდეგ ნანა ყუფუნიამ განმარტება გააკეთა, აღნიშნა, თუ რა გამოწვევის წინაშე დგანან დღეს პროვაიდერი სასწავლებლები, რომლებიც სამედიცინო მიმართულებით პროფესიულ განათლებაში ოპერირებენ. ციფრები შთამბეჭდავია, 140 წელი ცოტა არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, წელთა რაოდენობა ვერ უვლის იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ამ მიმართულებით ქვეყანა დგას. დასძინა, რომ იზიარებდა დარგის ექსპერტის პათოსსაც, რომ

ხარისხის გაზრდა თუ გვინდა, ამ წლებმა ის სტანდარტი უნდა დაამკვიდროს, რომელიც კონკურენტუნარიანს გახდის კურსდამთავრებულებს მსოფლიო ბაზარზე. ამისთვისაა ავტორიზაციის სტანდარტები და სასიხარულოა, რომ სასწავლებლის მხრიდან არის მიმღებლობა. მან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ადამიანურ რესურსებთან მიმართებაში ყველაზე სწორი შეფასება არის, როდესაც მისაღწევი სწავლების შედეგების მიხედვით ფასდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები. გადის თუ არა ამა თუ იმ სწავლის შედეგზე კანდიტიი? სწორად განსაზღვრული სამუშაო აღწერილობები, ფუნქცია-მოვალეობები, აქედან გამომდინარე, სწორად გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შემდეგ სწორად დაგეგმილი რეკრუტირება. როდესაც იმდენი სტუდენტია, რომ ერთი პროგრამის ხელმძღვანელი მას ვერ გასწვდება და სრულ განაკვეთზე ვერ იქნება პრაქტიკოსი, ამასთან დაკავშირებით, შესაძლებელია ორიც იყოს, ამის შეზღუდვა დაწესებულებას არ აქვს. რაზეც მაია ჩიხლაძემ დაამატა, რომ პროგრამას მხოლოდ ერთი პროგრამის ხელმძღვანელი კი არა, სამი ადამიანი უძღვება.

მან ასევე დასძინა, რომ არ უნდა იყოს ისეთი დატვირთვა, რომელიც დარგს მოწყვიტავს. როდესაც ამასთან დაკავშირებით გაკეთდა კვლევა, რიგ შემთხვევებში, იყო ისეთი ფუნქციები პროგრამის ხელმძღვანელისთვის შეთავსებული, რომელიც მთლიანად მის იქ ყოფნას აუცილებელს ხდიდა. თუმცა ამის აუცილებლობას, სრულ განაკვეთზე მუშაობას იმ ფუნქციებიდან და მასწავლებლის სტანდარტიდან და დამატებითი პოზიციებიდან გამომდინარე, არ მოითხოვს ეს ფუქცია. გადასახედია, ზედაპირული შეფასებაა, მაგრამ ემყარება კვლევის შედეგებს. ალბათ, უნდა დავფიქრდეთ ამაზე, თუ რატომ არის საჭირო, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სრულად, ყოველთვის იყოს ადგილზე. თუ ეს შეუძლებელია ნებისმიერ პროგრამასთან მიმართებაში, ეს უნდა დასაბუთდეს, ცენტრმა და სამინისტრომ უნდა იცოდეს ამის შესახებ და რაღაც მოთხოვნები, რომლებიც მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესმა დაუწესა დაწესებულებებს, შესაძლოა შეუძლებელი აღმოჩნდეს. ამაზე კარგად, დასაბუთებულად უნდა დაფიქრდეთ და წარმოადგინოთ მოსაზრებები მანამ, სანამ პროფესიული განათლების მასწავლების რეგულაცია არ დამტკიცებულა.

ნანი დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ შეფერხდა ეს პროცესი და ჯერ არ იყო დამტკიცებული. განხილვები იყო წინა ეტაპზე უფრო ინტენსიური მაშინ, როცა ეს პროექტი დასრულდა, ახლა მიწყნარდა და, ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი დაკავშირებულია პროფესიული უნარების სააგენტოს საქმიანობის დაწყებასთან, პირველი ოქტომბრიდან ამოქმედდა სააგენტო და პროფესიულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ფუნქცია მას აქვს უკვე. ამდენად, ბევრ დოკუმენტს თავიდან მიუბრუნდა სააგენტო. იყო იმ პროექტშიც ისეთი მიდგომები, რომლებიც შეიძლება, ამ გადმოსახედიდან, ბარიერად გახდეს დაწესებულებისთვის. ამიტომ ყველა უნდა მიუბრუნდეს, კარგად გაიაზრონ, რეალურად რა იმოქმედებს და რა არა. შესაძლოა სქემა კარგიც იყო და შედეგიანი, ეტაპობრივად ამ სქემის დანერგვაც ცუდი არ იქნებოდა.

ნანა ყუფუნიამ დააზუსტა, რომ პრაქტიკოსი უნდა იყოს, ეს სქემაში კი არ არის, სტანდარტშია. სქემა დაეყრდნო სტანდარტს. თუკი შეუძლებელია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილდეს და სრულ განაკვეთზე მოითხოვს მუშაობას კონკრეტულად პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია, საკითხი ამასთან დაკავშირებით უნდა დადგეს დღის წესრიგში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას (ს/კ: 400023595) „საქართნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 29 ნოემბერი.

16:20 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა დეა აბულაძემ.

5. **ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ
ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ში დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 ოქტომბრის №1053469 ბრძანების საფუძველზე. წარმოების მიზანს წარმოადგენდა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2"-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -"კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (განხორციელების ადგილი: ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №28), ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება და დაწესებულების პერსონალთან გასაუბრება, წინასწარ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად, 2021 წლის 26 ოქტომბერს შედგა, ონლაინ პლატფორმა ZOOM-ის გამოყენებით. სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურად ჩართვამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით ექსპერტებისათვის მოწოდებული და ვებ-გვერდზე განთავსებული მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით გადაეგზავნა დაწესებულებას. დისტანციური ვიზიტისას ექსპერტების მიერ დაწესებულების ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან

განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაცია და შესაბამისი კომპეტენციები. დათვალიერებული იქნა პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი სივრცეები/აუდიტორიები, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი. შეხვედრის დასასრულს, შესწავლილი დოკუმენტაციისა და შეხვედრისას განხილული საკითხების საფუძველზე, მოხდა დაწესებულების წარმომადგენლების ინფორმირება ძირითად მიგნებებთან დაკავშირებით. წინა წარმოების ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შეფასდა ავტორიზაციის სტანდარტთან „მეტწილად შესაბამისად“, რადგან 2.2 კომპონენტი შეფასებული იყო „მეტწილად შესაბამისად“.
მიმდინარე წარმოების ფარგლებში მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ექსპერტთა შეხედულებით 2.2. კომპონენტი შეფასებულია, როგორც „სრულად შესაბამისი“ და აქედან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სრულად შესაბამისობაშია ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე განიხილა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო დაწესებულების მიერ.
იგი ასევე შეეხო გარკვეული რაოდენობის კომპიუტერების შესყიდვის საკითხს, თუმცა გართულებული ტენდერებიდან გამომდინარე, მოხდა ფასების ცვლილება და თავიდან მოთხოვნა. კომპიუტერები არ ჰქონდათ შეძენილი, თუმცა არსებული კომპიუტერები გააძლიერეს ისე, რომ პროგრამის მონაცემები მორგებოდა და გაძლიერების აღჭურვილობასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი და ხელშეკრულებაც. როგორც დარგის ექსპერტმა შეაფასა, ეს მონაცემები უკვე ჰქონდა ამ კომპიუტერებს. მოწყობილი აქვთ 20 სტუდენტზე გათვლილი B გარემო, კომპიუტერული ლაბორატორია და ეს კომპიუტერის მონაცემები პასუხობს პროგრამით გათვალისწინებულ მონაცემებს. რაც შეეხება გამტარუნარიანობას, საკითხი დაისვა ექსპერტების მიერ, თუ რამდენად საკმარისი იქნებოდა, გაირკვა რომ ამ ეტაპზე ამ ლაბორატირიას სხვა პროგრამების ფარგლებში იყენებენ მხოლოდ ინფორმაციული წიგნიერების მოდულის განსახორციელებლად და კვირეული დატვირთვა შეადგენს 6 საათს. აქედან გამომდინარე, სხვა პროგრამა ლაბორატორიას დიდად არ ტვირთავს. ამასთან შესყიდვის პროცესი კვლავ მიმდინარეობს იმ კომპიუტერებზე, რომლებზეც იყო დაწყებული. ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში ეს პროცესი დასრულდება, თუმცა ამ კონკრეტული პროგრამისთვის ამჟამად ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ეს ლაბორატორია უზრუნველყოფს ამ პროგრამის განხორციელებას არსებული კომპიუტერების გაძლიერებით.
ნანი დალაქიშვილმა ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა,მან ყურადღება გაამახვილა, იმაზე, რომ პანდემიიდან გამომდინარე, კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის სამთავრობო ტენდერიც კი ჩავარდა. მომწოდებლები და ის ქარხნები, რომლებიც საქართველოს აწვდიან კომპიუტერულ ტექნიკას, გაჩერებულნი არიან. ძირითადად ჩინეთიდან ხდებოდა ამის მოწოდება. სამინისტროდან მინისტრის მოადგილის წერილიც იყო ამასთან დაკავშირებით, რომ ეს კონსოლიდირებული ტენდერები ჩაიშალა. ამდენად, დაწესებულების მიერ არსებული კომპიუტერების გაძლიერება მოქნილი გამოსავალია, თუ დარგის ექსპერტიც იტყვის, რომ ეს გზა შედეგების მიღწევისთვის ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია, ცენტრიც უწევს რეკომენდაციას. გრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა, სხვა კოლეჯებსაც აქვთ ეს პრობლემა და ცენტრი იმედოვნებს, რომ ერთობლივად, სამინისტროსა და ESIDA-ს თანადგომით ეს ყველაფერი გამოსწორდება. კარგია, რომ კოლეჯმა გამოსავალი მოძებნა ამ შემთხვევაში, თუ, რა თქმა უნდა, დარგის ექსპერტი ეთანხმება, რომ ეს გამოსავალი მისაღებია.
ექსპერტების მიერ გაიცა ორი განმავითარებელი რეკომენდაცია **2.2.1(7)** კომპონენტის ფარგლებში
1. პროგრამის ბიუჯეტში შემოსავლები და ხარჯები გაიწეროს რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით;

2. ბიუჯეტი თითოეული პროგრამისთვის (როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული) გაიწეროს და რენტაბელობის ზღვარი დადგინდეს ცალ-ცალკე.
ნანა ყუფუნიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და მიმართა დარგის ექსპერტს იაზონ დანელიას ხომ არ დაამატებდა რამეს, რაზეც მან უპასუხა, რომ მარინე გვრიტიშვილის მიერ სრულად იყო წარმოდგენილი ინფორმაცია.
ნანა ყუფუნიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
კოლეჯის დირექტორმა თამარ ზაქარაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და ხარისხის მართვის მენეჯერს თხოვა დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრება.
თამთა კვინიკაძე შეეხო კომპიუტერებთან დაკავშირებით ფინანსურ ნაწილს მან მოკლე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ მაქსიმალურად მოხდა დაწესებულების მდგომარეობის გათვალისწინება. თუმცა ადწესებულება ბევრს ფიქრობდა რა უნდა გაეკეთებინა შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. 2 გზას მიმართა კოლეჯმა, ერთი არის კომპიუტერების ნათხოვრობა პარტნიორი დაწესებულებისგან. დასძინა, რომ ელოდებოდნენ შეთანხმებას, ვინაიდან მთავრობასთან შეთანხმება იყო საჭირო დროებით სარგებლობაში კომპიუტერების გადმოსაცემად, სანამ თავად მოახერხებს დაწესებულება კომპიუტერების შეძენას, რათა B გარემოც იყოს ცალკე უზუნველყოფილი. 11 კომპიუტერი აქვს ისედაც დაწესებულებას და 10 კომპიუტერის ნათხოვრობა იყო საჭირო. კოლეჯები თანახმა არიან, დაწესებულებაში არის თანხმობის წერილებიც, თუმცა, ვინაიდან დაწესებულება არის ა(ა)იპ და ისინი სსიპ, ამისთვის საჭიროა მთავრობასთან შეთანხმება. არის ასევე მეორე გზაც კომპიუტერების შეძენა. დაწესებულება მზადაა მაქსიმალურად მოკლე დროში შეიძინოს, მან თხოვა ფინანსურ მენეჯერს კონსტანტინე ქავთარაძეს სრულყოფილად განემარტა საბჭოსთვის.

ნანა დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ იყო მინისტრის მოადგილის წერილი, მომართვა ცენტრისადმი, რომ, რადგანაც ასეთი მდგომარეობაა შექმნილი და სხვა კოლეჯებიც არიან „კონსტრუქტ2“-თან ერთად ასეთ მდგომარეობაში, იქნებ გადავადებულიყო მონიტორინგის ვადები და საბჭოსთვის მიგვემართა, რაზეც ნანა ყუფუნია შეეკითხა ნანი დალაქიშვილს იქნა თუ არა ეს ვადა გამოყენებული.
ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ,შარშან ასეთი გზა გამოყენებულ იქნა, საბჭოს მიმართა ცენტრმა თხოვნით მონიტორინგის ვადების გადაწევის შესახებ და შესაბამისად საბჭომ ეს ვადები გადაწია, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო არაპროგნოზირებადი იყო სიტუაცია. გარდა ამისა, შესაძლოა მეტწილი შესაბამისობის ვადების დარღვევა მომხდარიყო, ამიტომ ცენტრის ხელმძღვანელობამ დაწესებულებებს მისცა რეკომენდაცია, რომ უფრო მოქნილად და სხვა საშუალებებით აღმოეფხვრათ მეტწილი შესაბამისობის ინდიკატორები ისე, რომ ამ ვადაში დასრულებულიყო ეს პროცესი.
ნანა ყუფუნიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ ეს ვადა გამოყენებული, თამთა კვინიკაძემ განმარტა რომ დაწესებულებას ამ გადავადებით არ უსარგებლია.
ნანი დალაქიშვილმა დასძინა, რომ ცენტრის ხელმძღვანელობის პოზიცია იყო, რომ ,,კონსტრუქტ2''-ს უზრუნველეყო რაიმე წესით ამ მეტწილი შესაბამისობის გამოსწორება და ეზრუნა კიდევ ალტერნატივებზე.
ნანა ყუფუნია დაინტერესდა, თუ რა იყო მეორე ალტერნატივა, რაზეც ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ ერთი გააძლიერეს არსებული კომპიუტერები, შემდეგი - გრძელდება შესყიდვების პროცესი.
პოლემიკაში ჩაერთო კონსტანტინე ქავთარაძე, რომელმაც ისაუბრა ფინანსურ ნაწილთან, მის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. როგორც მან აღნიშნა დაწესებულებამ 25 ნოემბრის მდგომარეობით მიიღო საქართველოს მთავრობის ნებართვა, რომ სახელმწიფო შესყიდვა ტენდერის საშუალებით განეხორციელებინა და უკვე ტენდერის ნომერიც არის.

გამოცხადებულია ტენდერი, დასრულდება დაახლოებით 7 დეკემბერს, საიდანაც მაქსიმუმ 2 თვეში უზრუნველყოფილი იქნება კომპიუტერების მოწოდება. რა თქმა უნდა, თუ რაიმე დამატებითი ფორს-მაჟორი არ გამოჩნდა კიდევ, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ფაქტობრივად ხელს უძლიდა ამ პროცესს. რაც შეეხება რეკომენდაციებს, იგი დაეთანხმა იმ ნაწილში, რომ შეუძლებელი არ არის და შეიძლება დიფერენცირება ცალ-ცალკე ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამების ბიუჯეტებისა. ამის საშუალებას 244-ე დადგენილება იძლევა და შესაბამისად, დაწესებულება ამას უზრუნველყოფს.
ნანა ყუფუნიამ მიმართა ნანი დალაქიშვილს, გადაწყვეტილების დანართში ცლილება ეხებოდა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, რაზეც ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ეს იყო ტექნიკური უზუსტობა. უზუსტობა იყო დასკვნაში. სხდომის დროს დავაზუსტებინეთ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სტუდენტთა რაოდენობა, დაზუსტდა ეს და მერე ასევე წერია ოქმშიც, რომ ქალბატონმა მარიამ ჩაგელიშვილმა მოითხოვა, რომ კიდევ ერთხელ დაზუსტებულიყო ციფრები. კერძოდ, საქმე ეხებოდა მთლიანად ზღვრულ რაოდენობას ინტეგრირებულ პროგრამაზე 60 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას. ექსპერტებმა საბოლოოდ დააზუსტეს, რომ იყო ამის შესაძლებლობა. უბრალოდ თავად ჰქონდათ არასწორი ჩანაწერი დასკვნაში. ეწერათ ერთ მიღებაზე 20 სტუდენტი და მთლიანად რომ 60-ს გაატარებდა ინტეგრირებულზე დაწესებულება ეს კარგად არ იყო გამოკვეთილი, თუმცა ოქმში არის შემდეგ ეს ყველაფერი განმარტებული. თხოვა საბჭოს, რომ ეს ტექნიკური უზუსტობა გასწორდეს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“-ში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და „ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“-სთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 15 ივნისის №576709 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ში (ს/კ: 430035874) „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-სთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 15 ივნისის №576705 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების

პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 29 ნოემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ყუფუნიამ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის მონიტორინგის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, რომელი საკითხიც დღევანდელი სხდომის დღის წესრიგში იყო შეტანილი. საბჭოს მიმდინარეობის პერიოდში ცენტრის დირექტორის და საბჭოს თავმჯდომარის სახელზე უნივერსიტეტის სახელით შემოვიდა შუამდგომლობა, სადაც უნივერსიტეტი ითხოვს საკითხის განხილვის გადატანას საბჭოს შემდეგ სხდომაზე, რადგანაც შუახევის მუნიციპალიტეტში ელექტროენერგიის პრობლემების გამო დაწესებულებამ ვერ შეძლო სხდომაზე დასწრება. საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის მონიტორინგის საკითხის საბჭოს შემდეგ სხდომაზე გადატანას.

16:45 საათზე საბჭომ დაასრულა მუშაობა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

ოქმის დანართი

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120